სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *დემეტრე ჯინჯოლიას* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**23**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**22**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული ოვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**10**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

ზურაბ გურასპაშვილი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 09.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზურაბ გურასპაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

დემეტრე ჯინჯოლიას

შეფასება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის 38 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა დემეტრე ჯინჯოლია.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით, მოპოვებულ იქნა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატების შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმომედგინა ამავე კანონის 34[1] მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. მოწოდებულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი შევაფასე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 (ოთხი) მახასიათებლის მიხედვით და ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა.

კანდიდატი შევაფასე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ამავე ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

ასაკი: **32 წელი (1992 წელი 25 აგვისტო)**
განათლება: **უმაღლესი იურიდიული (მაგისტრი, თსუ 2017 წელი)**
ნასამართლობა: **არა**
სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **9 წელი**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატ დემეტრე ჯინჯოლიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის სამოქალაქო ვალდებულებებს, კერძოდ დემეტრე ჯინჯოლიას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

დემეტრე ჯინჯოლიას უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოთხი ფაქტი, მის მიმართ ასევე შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, მასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები დემეტრე ჯინჯოლიას კეთილსინდისიერ, პატიოსან, სიმართლისმოყვარე და კორექტულ პიროვნებად ახასიათებენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი დემეტრე ჯინჯოლია **<u>სრულად აკმაყოფილებს</u>** პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს.

<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმტკიცე, შეუვალობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა.

გასაუბრების პროცესიდან ჩანს, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, აგრეთვე თავისუფალია ყოველგვარი მიკერძოებისგან და დისკრიმინაციისგან. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან/და შემომწირველი.

რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატს ახასიათებს პრინციპულობა და პიროვნული სიმტკიცე, არის მიუკერძოებელი და სამართლიანი, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და პრობლემათა მოგვარების საკუთარ თავზე აღების უნარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი **<u>დემეტრე ჯინჯოლია</u>** **<u>სრულად აკმაყოფილებს</u>** დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებელს.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, რომლებშიც იგი მონაწილეობდა, როგორც მხარე, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდების არსებობა და სხვა, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას.

გასაუბრების პროცესში დემეტრე ჯინჯოლია თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. მას კარგად აქვს გაცნობიერებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი როგორც საზოგადოებაში, ასევე კოლეგებთან ურთიერთობისას არის კორექტული და ემოციურად გაწონასწორებული, აქვს თავშეკავების, საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

კანდიდატის ოთხობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ დემეტრე ჯინჯოლიას მიმართ დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მას საანგარიშო პერიოდში, უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები, რომლებზეც დადგენილი ჯარიმები სრულად და დროულად აქვს დაფარული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი დემეტრე ჯინჯოლია **<u>სრულად აკმაყოფილებს</u>** პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელს.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

არსებული ინფორმაციით კანდიდატი სარგებლობს დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით როგორც კოლეგებში ისე იურიდიულ წრეებში. ასევე

რეკომენდატორებიც აღნიშნავენ, რომ კანდიდატს თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე საზოგადოებაში აქვს მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაცია.

კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ფარგლებში რაიმე სახის ნეგატიური ინფორმაცია მისი პიროვნული თუ პროფესიული რეპუტაციის შესახებ არ გამოვლენილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი დემეტრე ჯინჯოლია **<u>სრულად აკმაყოფილებს</u>** პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს.

<u>დასკვნა</u>
კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ

კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის <u>ოთხივე</u> მახასიათებლით შემოწმებისას შევაფასე <u>სრულად დადებითად</u>, ამდენად მიმაჩნია, რომ კანდიდატი <u>დემეტრე ჯინჯოლია სრულად აკმაყოფილებს</u> კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატ დემეტრე ჯინჯოლიას შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ)პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

სამართლის ნორმების ცოდნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო

კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კანდიდატს დაესვა არაერთი კითხვა სამართლის სხვადასხვა მიმართულებით, კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები უმეტესწილად იყო ამომწურავი.

იგი ძალიან კარგად იცნობს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, აგრეთვე საერთაშორისო სისხლის სამართალს და აქტიურად ეცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით კანდიდატი **დემეტრე ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს **23 ქულით.**

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლიით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას – აგრეთვე მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა.

კანდიდატს გააჩნია სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე, მისი გადაწყვეტისა და დასაბუთების უნარი. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მსჯელობა იყო დამაჯერებელი. იგი აზრს ავითარებდა გამართულად, თანმიმდევრულად.

დემეტრე ჯინჯოლია არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 83/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 6.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სისხლის სამართალში* - დემეტრე ჯინჯოლიას, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი,

არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. *სამოქალაქო სამართალში* - მსმენელს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. გააჩნია მაღალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ფლობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. არის მიზანმიმართული, მონდომებული, კეთილსინდისიერი და ყურადღებიანი. მას აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული სამართლებრივი მსჯელობა, ახასიათებს აზრის სწორად და ლაკონურად გადმოცემა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების განჩინების პროექტები წერილობით თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. *ადმინისტრაციულ სამართალში* - დემეტრე არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტი. კარგად იცნობს ეროვნულ კანონმდებლობას, საკონსტიტუციო, საკასაციო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. რასაც წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. დემეტრე არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიანი ადამიანი. გააჩნია სამართლებრივი საკითხების ღრმა და ჯეროვანი გააზრების უნარი. სადავო საკითხებზე მსჯელობისას არგუმენტირებულად განმარტავს სამართლის ნორმას, ახდენს მის მისადაგებას დადგენილ ფაქტებისადმი და შესაბამისად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. გააჩნია კარგი წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია ნათლად, გასაგებად და დამაჯერებლად გადმოსცეს თავისი აზრი, როგორც ზეპირად ასევე წერილობით, აქვს უნარი სათანადოდ განავითაროს სამართლებრივი მსჯელობა და დაასაბუთოს გადაწყვეტილება."

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით კანდიდატი **<u>დემეტრე ჯინჯოლია</u>** უნდა შეფასდეს **<u>22 ქულით.</u>**

წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, წერის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას

გაითვალისწინება მის მიერ წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მისი გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

დემეტრე ჯინჯოლიას არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, დემეტრე ჯინჯოლიას მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები/საპროცესო დოკუმენტების პროექტების მოწონება შეიძლებოდა, ისინი მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებებს საჭიროებდა. მას გააჩნია აკადემიური წერის მაღალი კულტურა და სამართლებრივი დასკვნების გაკეთებისას ამომწურავად ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით. იყენებს დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, წერს ლაკონურად და მხარისათვის გასაგებ ენაზე. მან გამოავლინა წერის მაღალი კულტურა როგორც აკადემიური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. დემეტრე ჯინჯოლიას შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ზეპირად ამომწურავად გადმოსცემს აზრს.

რეკომენდატორების მითითებით, კანდიდატი აქვს, როგორც წერილობით, ასევე ზეპირი კომუნიკაციის დროს, აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ასევე ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით კანდიდატი **<u>დემეტრე ჯინჯოლია</u>** უნდა შეფასდეს **<u>18 ქულით.</u>**

პროფესიული თვისებები

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, პროფესიული თვისებების მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, მიზანდასახული, პუნქტუალური, შეუძლია სტრესულ სიტუაციებში მუშაობა, გააჩნია გუნდური მუშაობისა და გუნდის მართვის უნარი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატი **<u>დემეტრე ჯინჯოლია</u>** უნდა შეფასდეს **<u>14 ქულით.</u>**

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

დემეტრე ჯინჯოლიას ჩაბარებული აქვს მოსამართლის და ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები.

კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული: 18.11.2022 წ. - ანტი-დისკრიმინაცია, ევროპის საბჭო; 28.11.2022 წ. - არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, ევროპის საბჭო; 05.12.2022 წ. - წინასასამართლო გამოძიება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო; 01.02.2023 წ. - სიძულვილის ენა, ევროპის საბჭო; 05.05.2023 წ. - სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ევროპის საბჭო; 2022 წლის სექტემბერი - 2023 წლის სექტემბერი - ტრენერთა ტრენინგი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, ევროპის საბჭო; 27.11.2018 - 29.11.2018 წწ. - სისხლისსამართლებრივ პრობლემებზე მომუშავე ევროპის საბჭოს კომიტეტის (European Committee on Crime Problems - CDPC) რიგით 75-ე კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა); 18.11.2020 - 19.11.2020 წწ. - ევროპელ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოს (Consultative Council of European Prosecutors - CCPE) 2020 წლის კონფერენციის მონაწილე (ქ. სტრასბურგი, საფრანგეთის რესპუბლიკა); 25.09.2022 - 29.09.2022 წწ. - პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის (International Association of Prosecutors) რიგით 27-ე საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის წევრი (ქ. თბილისი, საქართველო); 20.12.2022 - 21.12.2022 წწ. - კორუფციით მიღებული შემოსავლის ამოღების თაობაზე ექსპერტთა საერთაშორისო ფორუმი ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში, მონაწილე და მომხსენებელი, ინიციატორი - გაეროს narკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი (UNODC), (ქ. ტაშკენტი, უზბეკეთის რესპუბლიკა) და სხვა.

წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით ჩანს, რომ კანდიდატი მუდმივად მუშაობს თვითგანვითარებაზე,

საუკეთესოდ ფლობს საოფისე კულტურას, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შემენის ინტერესი, წარმატებით იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატი **დემეტრე ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს **10 ქულით.**

პროფესიული აქტივობა

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, პროფესიული აქტივობის მახასიათებლით პირის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა.

კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ დისკუსიებში აქვს მონაწილეობა მიღებული, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების პროცესში ხშირად გამოთქვამს თავის შეხედულებებს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, გამოირჩევა მაღალი პროფესიული აქტივობით.

დემეტრე ჯინჯოლიას მიღებული აქვს სპეციალური წოდებები:

- უმცროსი იურისტი - 29.02.2016 (ბრძ.№120-მ);
- მესამე კლასის იურისტი - 01.03.2017 წ. (04.04.2017 წლის ბრძანება №34-მ §3);
- მეორე კლასის იურისტი - 01.03.2019 წ. (02.04.2019 წლის №47-გ §2);
- პირველი კლასის იურისტი - ვადამდე - 27.05.2021 წ. (ბრძანება №18 §33);
- იუსტიციის უმცროსი მრჩეველი - ვადამდე - 27.12.2022 წ. (ბრძანება №22 §5).

კანდიდატს ასევე მიღებული აქვს წახალისებები:

- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2023 წლის 19 მაისის №5 §16 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 27 დეკემბრის №22 §5 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა იუსტიციის უმცროსი მრჩეველის სახელმწიფო სპეციალური წოდება;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 27 დეკემბრის №21 §157 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 28 დეკემბრის №34 §2 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;

- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 27 მაისის №18 §33 ბრძანებით, ვადამდე მიენიჭა პირველი კლასის იურისტის სახელმწიფო სპეციალური წოდება;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 24 დეკემბრის №32 §126 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა;
- სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საქართველოს მთავარი პროკურორის 2019 წლის 30 მაისის №7 §6 ბრძანებით, გამოეცხადა მადლობა და მიეცა ფულადი ჯილდო.

კანდიდატის პედაგოგიური, სამეცნიერო ან სხვა სახის პროფესიული აქტივობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატი **დემეტრე ჯინჯოლია** უნდა შეფასდეს **3 ქულით.**

დასკვნა
კანდიდატის კომპეტენტურობის შესახებ

*კანდიდატ **დემეტრე ჯინჯოლიას** თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე* მისთვის მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა *90 ქულა.*

- სამართლის ნორმების ცოდნა 23 ქულა.
- სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია 22 ქულა.
- წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი 18 ქულა.
- პროფესიული თვისებები 14 ქულა.
- აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა 10 ქულა.
- პროფესიული აქტივობა 3 ქულა.

ზურაბ გურასპაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 09.12.2024